წელიწადი I-ლი | შაბათი 22 იანვარი | ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . [illegible]
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 50 მან.
4 " " . . . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 15 | ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო | № 15

## ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ზროვალ-სხირტლაძის

პარასკევიდან 21 იანვრიდან ამერიკული კინო-რომანი
მორის ლებლანისა
### წითელი ბეჭედი.
11 ეპიზოდათ 22 ნაწილათ.
მთავარ როლს შეასრულებს კაროლი ეკრანის რუთ როლანი.

ანონსი: სამშაბათიდან 25 იანვრიდან ახალი პროგრამა წითელი ბეჭედი 4 და 5 ეპიზოდი.

## ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

პარასკევიდან 21 იანვრიდან ახალი სენსაციური გამოცემა სურათებისა
### ბეჭედი სირცხვილისა
დრამა 4 ნაწილათ პროლოგით
დასასრულ ინგლისური სიმაგრე.

ანონსი: მზადდება დასადგმელათ 25 იანვრიდან ქალი გამოცანა

## საზოგადო საკრებულოს დარბაზი
შაბათს 22 იანვარს საქართველოს სოციალ ფედერ. სარევოლ. პარტ. ბათომის კომიტეტის სასარგებლოდ
პოეტი გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება
გ რ ა ნ დ ი ო ზ უ ლ ი
### ბალ--მასკარადი კაბარე
კაბარეში მონაწილეობენ ცნობილნი მსახიობნი,
ორიგინალურ კოსტიუმისთვის დანიშნულია მეირთვასი ჯილდო, ღირებული 50,000 მანეთი.
მასკები შეშვებულნი იქნებიან დარბაზში სარეკომენდაციო ბილეთებით
სარეკომენდაციო ბიურო საკრებულოს შესავალში იმყოფება.
დასაწყის საღ. 9 საათზე. შესასვლელი ფასი 500 მ.
დაწვრილებით აფიშებში. საღამოს გამგე ც. კ ქორქაშვილისა.

## ქართველ სტუდენტის დღე.
ოცდა ექვსი იანვარი ქართველი სტუდენტის დღეა. ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი მეცნიერების ტაძარს — ქართულ უნივერსიტეტს.
### მთელი საქართველო დღესასწაულობს ამ დღეს.
ბათომში დღესასწაული მიიღებს შემდეგ ხასიათს:
ქუჩებებით ფულის შეგროვება, შემოწირულების შეკრება, უმთავრეს კაფე-რესტორანებში, კინოებსა, თეატრში და ცირკში 0|0|0 გადაიდება სტუდენტების სასარგებლოთ, შმაევსკის თეატრში გაიმართება გრანდიოზული საღამო ნინა აიოლოს, გრ. აიოლოს, კალე ქავთარამის და სხ მონაწილეობით.
### 26 იანვარს სასწავლებლებში სწავლა არ იქნება.
### სტუდენტობა და მოწაფე ახალგაზდობა მუსიკით გამოვლენ ქუჩაში.
მოუწოდებთ ამხანაგ სტუდენტებს, ვაჟებსა და ქალებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულის მოწყობაში.
დღესასწაულის მომწყობი კომისიის სხდომები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საზოგადოების სახლში (პირველი სარ. ინტერნაციონალის და დუნ-კორს. ქუჩ. კუთხე). სასურველია კომისიის წევრებს გარდა სხდომებს რაც შეიძლება მეტი ამხანაგები დაესწრონ.
ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 4—8 საათამდე.
დღესასწაულის მომწყობი კომისია.

მე-4 ქვეითა ათასეული ნიშნავს 26 იანვარს 1921 წ. დღის 12 საათ.
## საჯარო ვაჭრობას
ათასეულისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგის მოსაწოდებლათ.
საჯარო ვაჭრობა მოხდება ათასეულის შენობაში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის საბინაო ნაწილში, არტაანის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.
ვაჭრობა მოხდება დახურულ ბარათებით. საჭიროა ერთი მილიონი საწინდარი.
35 3—1

ბ ა თ ო მ ი ს ფ რ ო ნ ტ ი ს
## დამხმარე მთავარი კომიტეტი
აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.
კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომლებსაც ხელთ აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნოს ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად.
31 3—1

კვირას, 23 იანვარს დილის სრულ 10 საათისთვის ბარცხანის ყაზარმებში დანიშნულია
ბ ა თ ო მ ი ს გ ვ ა რ დ ი ე ლ თ ა
## საერთო ყრილობა
დღის წესრიგი: 1) მოხსენება რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საერთო ყრილობის შესახებ, 2) მოხსენება ადგილობრივი შტაბის მუშაობის შესახებ და 3) სასამართლოს დაარსება.
დასწრება ყველა გვარდიელთათვის სავალდებულოა
33 3—1 სახალხო გვარდიის ბათომის საოლქო შტაბი.

ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის
## დ ა რ ბ ა ზ ი
აუწყებს ბათომის მოქალაქეთ, რომ კვირას 23 იანვარს 1921 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია
## საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება ოქროს და ვერცხლის ნივთები, ჭურჭლები, ტანისამოსები და სხვა. დარბაზი ღებულობს ნივთებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდე.
გასაყიდ ნივთების ნახვა შეიძლება კვირას 23 იანვარს დილის 9 საათ. დარბაზი მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის სახლში ყოფილი ქალაქის ლომბარდის ბინაზე.
34

## ბათომი, 22 იანვარი.

ვერსალის ხელშეკრულება საზღვრავს დასავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებას. მაგრამ ხელშეკრულება ყველა სახელმწიფოსათვის ერთგვარათ მისაღები არ არის. ყველაზე უფრო საფრანგეთის სული დევს ამ ხელშეკრულებაში და ეს ქვეყანა გამოელის ამ ხელშეკრულებიდან დიდ მოგებას და სარგებლობას. მაშინ როდესაც ინგლისი და იტალია ვერსალის ხელშეკრულების ყოველივე მუხლის ასრულებას შეუძლებლად და მავნებლათ სთვლიან და მის ერთგვარათ გადასინჯვას და შესწორებას მოითხოვენ, საფრანგეთი მას სწორათ ცნობს და მას სასტიკათ ცხოვრებაში გატარებას [illegible].

აქ საფრანგეთის ინტერესი დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ინგლის იტალიის სწორათ გაგებულ მისაზრებებს და აქ იბადება ის უთანხმოება და კონფლიქტი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ხშირათ თავს იჩენს მოკავშირეთა შორის.

საფრანგეთი ყველაზე უფრო დაზარალდა მსოფლიო ომში, მისი ჩრდილო პროვინციები, სადაც ფრიათ განვითარებული იყო მრეწველობა, თითქმის სავსებით განადგურებულია და ქალაქები და სოფლები მისპობილია, ზარალი ფრიათ საგრძნობი და აუნაზღაურებელია. საფრანგეთი გერმანიის ხარჯზე და მისი საშვალებით ფიქრობს მთავარ განადგურებულ ქალაქებისა, სოფლებისა და მრეწველობის აღდგენას, საფრანგეთი [illegible] შიშობს გერმანიის წინაშე და დაუნდობლათ გერმანიის სრულ განიარაღებას მოითხოვს, რეინის მარცხენა ნაპირის ხელში ჩაგდებას ცდილობს, რომ მით უფრო ხელსაყრელი სტრატეგიული საზღვარი გაიჩინოს. საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის მიმართ აგებულია სიძულვილსა და შიშზე და ეს გრძნობა ხდის საფრანგეთის პოლიტიკას შეურიგებლათ.

ინგლისი წინააღმდეგ ცდილობს დაუახლოვდეს გერმანიას, რადგან წინეთ დიდი ვაჭრობა და აღებ-მიცემა სწარმოებდა ამ ორ სამრეწველო

# განცხადება

21 იანვარს 1921 წელს შაბათს საღამოს 5 საათზე ქართულ სკოლაში მოწვეულია არა ჩვეულებრივი სოც.—დემ. მ. პარტიის ქესამე რაიონის წევრთა

# საზოგადო კრება

დღის წესრიგი: მოხსენება მომენტზე კ. ქავთარაძის, კოლექტივის მოხსენება კასის მდგომარეობა, არჩევნები კოლექტივის წევრების და სარევიზიო კომისიის, პარტიული კლუბის შესახებ და მიმდინარე კითხვები.

კოლექტივის სთხოვს ყველა წევრების აუცილებლათ დასწრებას.

**კოლექტივი.**

---

სახელმწიფოთა შორის და ეხლაც ინგლისი მოწადინებულია, რომ გერმანიამ შესძლოს მასთან ეკონომიური ურთიერთობის დაჭერა.

ერთია პოლიტიკა ინგლისის და იტალიის, მეორე საფრანგეთის, მათ შორის თანხმობა და ერთი ხაზის საგარეო განწყობილების გამონახვაში არ მოხერხდა და თუმცა ხშირათ ერთად სჭობდენ, კონფერენციებს იწვევდენ, მაგრამ საბოლოოთ ინგლისი და იტალიაც დამოუკიდებელ, საფრანგეთისთვის მიუღებელ პოლიტიკას აწარმოებდენ. საფრანგეთი განმარტოებული დარჩა, მოხდა მისი სრული იზოლიაცია. და ამან დაბადა დიდი შიში საფრანგეთში.

საფრანგეთს ვერ მოუხერხებია თავისი საგარეო პოლიტიკის გადაშინჯვა, ის ფიქრობს ხელმძღვანელ პირთა შეცვლით გაამაგროს საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა, დაიახლოვოს ინგლისი და ამერიკა და ვერსალის ხელშეკრულება გაანაღდოს. ამით აიხსნება, რომ საფრანგეთში ხშირია მთავრობის კრიზისი. დღეს დაეცა ლეიგის კაბინეტი და მისი ადგილი დაიჭირა ბრიანმა.

ლეიგის კაბინეტის დაცემას ხელი შეუწყო სამხედრო მინისტრის ლეფევრის გამოსვლამ პარლამენტში. ლეფევრმა უფრო საგრძნობი გახდა ის შიში, რომელიც თავისთავათ არსებობდა საფრანგეთის საზოგადოებრივ წრეებში გერმანიის წინაშე. ლეფევრი ციფრებით და დოკუმენტებით ამტკიცებდა თავის მოსაზრებას. საფრანგეთი განიარაღებული განცალკევებული და უძლური სდგას გერმანიის წინაშე, რომელიც იარაღს ისხამს, ემზადება და ერთ დღეს თავს დაესხმის საფრანგეთს.

ცხადია, ლეფევრის გამოსვლამ შეაშფოთა საზოგადოება, შეარყია ლეიგის კაბინეტის მდგომარეობა და როდესაც ნდობის საკითხი დაისვა, ლეიგს უნდობლობა გამოუცხადეს და კაბინეტიც გადადგა. მოიწვიეს ბრიანი, მას მიენდო საფრანგეთის ხელმძღვანელობა, მან უნდა მოახერხოს საფრანგეთის მოკავშირეებთან დაახლოვება, მან უნდა გაამაგროს საფრანგეთის მდგომარეობა, მაგრამ საეჭვოა, თუ ის გზა, რომელიც აქამდის არჩეულ ჰქონდა საფრანგეთს, არ შეიცვალა, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს და გამოსწორდეს.

## მოკლე შენიშვნები.

ფრიად საინტერესო შესადარებელია ქალაქი და სოფელი ცენტრი და პროვინცია.

რევოლუციამ აქაც შეიტანა ცვლილება და განვითარების ახალი საფეხური გაჩვენა.

ავიღოთ ეკონომიური მხარე: სოფელი სანოვაგით აივსო.

სოფლელს უხვათ აქვს ის, რაც ქალაქებისათვის თავსატეხ საგანს შეადგენს:

— სასმელი და საჭმელი.

მიწის მუშას ბეღლები დაუტენია და იმედიანათ შეჰყურებს თავის ნაოჯალარს.

დღეს გლეხს ფულიც ბევრი აქვს და ამის მიზეზია ორი გარემოება.

სოფლის მუშამ უმაღლესი ინტენსივობით მიჰყო ხელი ჭირნახულის მოყვანას, რადგან ამ ჭირნახულს გასაღების საუკეთესო დრო დაუდგა.

რევოლუციამ გლეხს მიწა გადასცა.

გლეხი დღეს ხნავს და სთესავს გაცილებით მეტს, ვიდრე წინეთ, და თუ მოსავალმა ხელი შეუწყო —

— „მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“!

ამავე დროს დაეცა ფულის ღირებულება, სანოვაგის ფასი ცამდე აიდო და ამან კი ხელი შეუწყო გლეხის ოჯახში ბონების დაგროვებას.

დღევანდელ მძიმე ხანას აქვს ერთი მხარე, რომელიც ხელს უშლის გონებრივ შემოქმედებას, მის ნაყოფიერ მუშაობას.

ეს მხარეა ზრუნვა ლუკმა პურის შესახებ.

შიმშილის აჩრდილი ყველას თავს დასტრიალებს.

სოფლის მუშას ხელს უწყობს პირობები თავიდან აიცილოს შიმშილი, სძლიოს მძიმე ეკონომიურ კრიზისს, მაგრამ რამდენადაც ის მიზანს აღწევს ამ მხრივ, იმდენათ ის თანდათან შორდება კულტურულ საქმიანობას.

მე სახეში მაქვს კულტურულ ცენტრებს მოშორებული სოფლები.

რევოლუციამ ქალაქის მუშა დააჯილდოვა რვა საათის სამუშაო დღით.

სოფლის მუშა კი დღევანდელმა ეკონომიურმა პირობებმა ჩააყენა ისეთ სინამდვილეში, როდესაც ის წინანდელზე გაცილებით მეტს მუშაობს.

ერთ დროს მას ატყუებდა და აცდენდა „მსოფლიო დიდი გაუგებრობა“!

წინანდელ კაპეიკის და შაურის ნაცვლათ ასების და ათასების აღება..

სოფელმა დააგროვა ბონების დიდი ნაწილი, ჩაკეტა ის ყუთში ან ნასკვნებში და მიწაში შეინახა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ქალალდის ფულს დაკარგვია წინანდელი ფასი.

ეხლა ის აღარ ჩქარობს სანოვაგეში ბონების აღებას.

მისი ახალი მოთხოვნილება არის —საქონლის გადაცვლა.

— მოიტანეთ ქალაქიდან საჭირო საქონელი წაიღეთ პური და სხვა სანოვაგეო.

წინააღმდეგ შემთხვევაში ის კრუხავით აზის ჭირნახულს და სრულიად არ ფიქრობს ბონებზე გადაცვლას.

მე ვლაპარაკობ საერთოდ და სახეში არ მაქვს გამონაკლისი

ამ ახალმა „კომბინაციებმა“ შეარყია სოფლათ კულტურულ განმანათლებელი საქმე.

ზემო იმერეთში და ქართლის ზოგიერთ სოფლებში ადგილი აქვს სასაცილოს და თან სამწუხარო ამბებს.

ხალხი სწყდება კულიანების და მეთოხავების კარების წინ რიგში ჩამდგარან.

რევოლიუციამდე სოფელი სულს ღაფავდა, ეკონომიურათ, ის დღევანდელზე გაცილებით ღარიბი იყო, მაგრამ მაშინ იქ მეტი გასავალი ჰქონ და საგანმანათლებლო საქმეს.

აშკარა არის, რომ ეს დროებითი მოვლენაა, მაგრამ ნამდვილია ისიც, რომ საუბედუროთ დღეს ეს ასე არის.

საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს ჩვენი ქალაქის ცხოვრება.

ქალაქებში წინეთ მაღაზიები გატენილი იყო ყოველ გვარი საქონლით.

აქ სჩქეფდა ეკონომიური სიძლიერე, მრეწველობა აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით ქალაქი მძლავრ ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა.

დღეს ქალაქი გაღატაკდა და დაეცა ეკონომიურათ.

ამის მიზეზები გამომდინარეობს მსოფლიო ბაზრის რყევიდან და სარჩულათ უძევს მრეწველობის კრიზისი...

ერთის მხრით ქალაქი განიცდის ეკონომიურ გასაჭირს მეორე მხრით კი გართულდა და გაფართოვდა ქალაქის პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა.

დღეს კი ქალაქი წარმოადგენს პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრს და სწორეთ ამიტომ ეტანება მას მთელი ინტელიგენცია.

ყველას უნდა ეზიაროს ამ ცხოვრებას, შევიდეს პოლიტიკურ ვითარების მოქმედებაში, საკუთარი თვალით იხილოს ისტორიული საქმეები

პროვინციის ინტელიგენციაც აიბარგა და იწყო დენა ქალაქებისაკენ, ცენტრებისაკენ.

ამ მოვლენამ ეხლა უკვე გადაჭარბებული ხასიათი მიიღო.

პროვინციაში მუშაობას ბევრი არც კი კადრულობს და ქალაქებისაკენ ეშურებიან ცხვირი ისეთებსაც, ვინც ქალაქში ვერაფერს შეიძენს და მხოლოდ ზედმეტ ბარგათ დააწვება ქალაქს.

ამან ხელი შეუწყო სოფლებში კულტურული მუშაობის განელებას და თუ ასე გაგძელდა, სოფელი განზე დადგება და ნიადაგი მომზადდება ანტი-საზოგადოებრივი მოძრაობისთვის

ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ამას. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აღმზრდელი სოფელი, უნდა მივუბრუნდეთ მას და გავაჩაღოთ იქ საზოგადო მუშაობა.

საჭიროა სოფელთან დაახლოება.

ქ. [illegible]

## სოფლისთვის.

ღმერთმა და კაცმა ორივემ დაივიწყა სოფელი...

მარტოა სოფელი ასეთი მარტოობა მას ჯერ არ უგრძვნია. განთავისუფლებულ განახლებულ საქართველოს სინამდვილემ გვერდი აქცია ის სოფელი სადაც შევინახეთ ჩვენ ქართული სული ქართველის ტიპი და სადაც ყოველთვის სცოცხლობდა საქართველო.

ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც უმთავრესად სოფლიდან არის გამოსული აბსოლიუტურად განშორდა სოფელს და ქალაქში გადაებარგა.

სოფელი ამ ჟამად თავის საკუთარ მდგომარეობას აქვს დათმობილი, იქ მრჩეველი, იქ დამხმარე ხელმძღვანელი ახლა აღარავინ არის.

სოფლის მშრომელი მიწის მუშა ამბობს, რომ დღეს ის არავის არ სჭირია კიაიდან მასთან არც ერთი ნასწავლი არ იცდის.

საქართველოს პოლიტიკურ განთავისუფლების შემდეგ ყველა „კაცთილის მისუსნე მოშორდა“ თითქოს დღეს სოფელში არაფერი იყოს საკეთებელი.

ახლა ინტელიგენტები და სხვა პირნი საარჩევნო ცეცხლის დროს თუ ესტუმრებიან სოფელს.

სოფლელები ვიწრო სოფლის ყრილობებზე ასეთ კითხვებს იძლევიან. ნუ თუ ჩვენ არ უნდა წავიდეთ წინ ჩვენ მეურნეობას არაფერი ახალი არ შემატება, გზები და ხიდები არსად არ კეთდება ავადმყოფობა ყველგან არის რადგან ექიმები და სამკურნალო საშვალებანი არ არის

დღეს ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვეძლო, ფული ყველას მოეპოვება სხოლოდ გვჭირიან მრჩეველები და ხელმძღვანელები.

ასე ფიქრობს სოფლის ერთი ნაწილი.

მეორე ნაწილი სრულ გულგრილობას შეუპყრია, იგი მუშაობს რა რამდენიმე დღეს შემდეგ დღეებში ქრონიკულად ქეიფობს დროს ატარებს. კარტის თამაში და ლოთობა არა ჩვეულებრივი გაძლიერდა სოფელში, ლოთობენ და კარტობენ რადგან სხვა თავ შესაქცევი არაფერი აქვთ.

გარდა ამისა სოფელი გაუტაცებია სპეკულიაციას, ნადირულ სიმშილით აძრულ ფულის საშოვნად, შოულობენ ფულს და მერე ქეიფობენ. ასე მწარე და უფეროლია დღეს ჩვენი სოფლის პროგრამი. ჩვენ გულცივნი ვართ, ჩვენ გვგონია მიამიტად: გვგონია რახან სოფლებში ადმინისტრაციას მოვუწყობთ ბოროტ პირებს შევებრძოლებით ამით ყველაფერი დასრულებულია.

საქართველო შეიპყრო ცენტრალიზმის სასიკვდილო სენმა, იგი მთლად დიდ ქალაქში მოექცა, ტფილისის გარეშე მხოლოდ ადმინისტრატიული ცხოვრება სუფევს.

ეს ყოფა უაღრესად სახიფათოა. სოფელი ველურული სოფელი გადაშენების და დასნეულების გზას ადგია. ჩვენ ამას ვერ უნდა ვითმენდეთ ჩვენ ეს უნდა გვაშფოთებდეს.

საქართველოს საარსებო ინტერესი გვიბრძანებს რომ სოფელს მივხედოთ, სოფელს მივაშუროთ.

სოფელი საქართველოს სიცოცხლის ნერვი იყო წარსულში და იგი ასეთივე უნდა იყოს მომავალში,

ჩვენ ინტელიგენციას სოფლის განათლებულ შვილებს ვძახით სოფლისკენ, სასწრაფოდ მოვიდენ იმ კერასთან რომელიც მუდამ ბჟუტავდა ქართულად და რომელმაც დაგვიფარა სრულ გადაშენებისაგან.

მიწის მუშას გვერდში უნდა უდგეს მესანთლეთ ინტელიგენტი, იგი უნდა ჰგმობდეს სოფელში შეჭრილ ავ ჩვეულებათ, ქეიფს და კარტობას.

ქართველმა მსახიობმა სოფელში უნდა გაიღოს თავისი მსხვერპლი, მან წარმოდგენებით სათეატრო მოღვაწეობით აამაღლოს სოფლის მშრომელის გონება.

ლექტორებმა სოფლის ხალხს უნდა უკითხონ საჭირო ლექციები და მოხსენებები.

სპეციალ ცოდნის პირებმა სოფელს უნდა უჩვენონ ყველა ის გზები, რომელიც მას გამოიყვანს ძველ მამაპაპურ დუხჭირ მდგომარეობიდან

საქართველომ ახალი ცხოვრება დაიწყო იგი ღონიერდება ყოველ დარგში უნდა განვითარდეს და აყვავდეს სოფელიც.

ნივთიერად სოფელს დღეს აქვს შეძლება რომ გადასდგას სხვა და სხვა ნაბიჯები გზების [illegible] სოფლებში [illegible] ტეხნიკური [illegible] ნდ.

შეეცვალიად წოდებულ დემოკრატიულ საქართველოს შეეცა[...] მსგავსი სოფლები უნდა ჰქონდ[...]

ჩვენი ვის სირცხვილია, რომ[...] სუფთა საქართველოში ასე [...] შემცირდა სოფლის წიგნ საცა[...] კითხველთა რიცხვი, რაც პრო[...] სიულად მრავლდებოდა ძველი [...] მის დროს,

გარდა მთავრობის მოქმედ[...] სოფელში არაფერი კეთდება.

იმ დროს როცა სოფლებში [...] ლდება სახალხო სკოლების რი[...] (მთავრობისგან) სამაგიეროდ სა[...] ხველო სრულებით არსად არ[...] ნება.

მოკლეთ სოფელს არავით[...] თვითმოქმედება და ძიება არ ახ[...] თებს.

ასეთი ყოფა სასწრაფოდ [...] წაიშალოს,

ჩვენი სოფელი უნდა იქცეს [...] საქმიანობის ფართე ასპარეზად

ჩვენი სოფელი უნდა ამაღლ[...] გონებით და მას შექმნას პოლი[...] კური მსოფლ მხედველობა.

ჩვენი სოფელი უნდა ჩაებას [...] ველ მყოფელ აღორძინებითი [...] ხულში.

ამისთვის ინტელიგენციამ [...] უნდა მიჰმართოს თავის მოქმე[...] სოფლისკენ.

ინტელიგენციამ უნდა და[...] უარყოფითი გზა ე. ი. სიარული[...] ლეს წინააღმდეგობისკენ.

სოფელში მუშაობისკენ, გაგვ[...] დეს სოფელი

**ო. ჯიხაიშვილ[...]**

## უცხოეთი

აჯანყება რუსეთში.

პარიზი. 18 1. დასაწყისი[...] მიგვიღია ტროცკი, ჩიჩერინი, [...] ნინი რომელიც ცენტრალურ [...] სრულებელ კომიტეტის თავმჯდ[...] რეთ ითვლება. აღმოსავლეთის [...] მეების კომისარი სტალინი, მა[...] ვის აღმასრულებელი კომიტ[...] თავმჯდომარე კამენევი, რომე[...] ამას წინეთ ხელახლა აირჩიეს [...] დღეს ეკონომიურ კომიტეტის [...] მჯდომარედ რიკოვი და სხვა რ[...] დენიმე ცნობილი ბოლშევიკი [...] ლიდენ იმ ზომებს, რომელთა [...] ღებაც საჭირო ანტიბოლშევ[...] მოძრაობათა შესაჩერებლათ [...] ტოვებულია უკანასკნელი ცნობ[...] მიხედვით ძლიერი ანტიბოლშევ[...] რი მოძრაობა დაწყებულია [...] ახლო იანვრის 10-ს. უკრაინის [...] თელი ლაშქრის აჯანყებულ ჯ[...] კაცებს შეუერთდენ მუშები, რომ[...] თაც ხელთ იგდეს თოფხანა და [...] კაეს ქალაქის მიდამოები. საბ[...] მთავრობის კომისრები და მოხე[...] ბი გაიქცენ ბანმახში, სადაც [...] ლიან მოსკოვის მთავრობის [...] რებას ამასთანავე საბჭოთა [...] აქვეყნებს ცნობების მთელ რიგ[...] ტიბოლშევიკურ მოძრაობის შე[...] რომელიც ამ ჟამად ვითარდება [...] რეჩიასა და თურქესტანში წი[...] ჯარებს წინააღმდეგობას უწევს [...] ყებულთა საუკეთესოთ შეიარა[...] ლი რაზმები, ბრძოლის დროს [...] გრეულია რამოდენიმე სო[...] მოსკოვის „იზვესტია“ სწერს: [...] თელი ჯარის ხარალი თურქესტ[...] მოხდარ აჯანყების გამო მე[...] გრძნობით.

რუსები საფრანგეთში.

საფრანგეთის კომუნისტურ[...] ტიის ცენტრალური ორგანო[...]